ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6298944

ნომერი: AR1944571

თარიღი : 17.01.2023

გაცემის თარიღი : 25.01.2023

გაცნობის თარიღი : 26.01.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზარწემის ქ. N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მილენა ცუცქირიძე პ/ნ 01001090860
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 17 იანვარს №AR1944571 განცხადებით მომართა მილენა ცუცქირიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 8

ნოემბრის №6189715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანებით, ქ. თბილისში, ზარწემის ქ. №16-ში მდებარე №01.14.16.009.504 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 15 ნოემბრის №6204048 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 15 ნოემბრიდან 2023 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში მანსარდის 62.3 კვ.მ. ფართობის ნაცვლად დაფიქსირებული უნდა იყოს სარდაფის 62.3 კვ.მ. ფართობი.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 0.00 ნიშნულის გეგმაზე ფიქსირდება სარდაფის 62.3 კვ.მ. ფართობი, რომელიც 2022 წლის 7 ნოემბრის №AR1932747 განცხადებაზე არასწორად იქნა წარმოდგენილი, როგორც მანსარდის ფართობი, რაც შემდგომ, ასევე არასწორად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და მანსარდის 62.3 კვ.მ. ფართობის ნაცვლად სარდაფის 62.3 კვ.მ. ფართობის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ველში „მანსარდის ფართობი (კვ.მ).: 62.3“ ნაცვლად დაფიქსირდეს „სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 62.3“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 8 ნოემბრის №6189715 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.